

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოსწერა მიიღება რედაქციაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სამისთვის—3 მან., ერთისთვის—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ოსმუბათს გარდა

ფასი განცხადებულია დროისათვის: ასობზე—1 კაპა, ისრაელის ქვეყნის სტრუქტურაზე—8 კაპა, ჩვეულებრივის ციფროთი—5 კაპა, პატარათი—4 კაპა.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოსწერა

მთელი წლის მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакцію газеты „Дроба“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მესის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი მაისიდან წლის დამდეგამდე 6 (მეხუთე) მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ცალკე ნომერები „დროებისა“

ისი იღება მთელი წლისში: აზნაურთა თამბაქოს მალაზიაში (ბულგარზე) და მართანოვისა და ბრიტანოვის წიგნის მალაზიაში;

მთლიანში: უფ. ძოტე მესხის წიგნის მალაზიაში.

შოთში: რკინის გზის ვაგზალზე.

რკინის გზის ყველა სტაციებზე კონსტრუქტორებთან.

## ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

ვილიკოპოლი, 18 მაისს. ღენ. სტოლიპონი წავიდა სლოვენოში, სადაც იმყოფება ამ ქამად რუსის მთავარი კვარტირა ბოლგარიის ჩინოვნიკები დროებით არიან რუმელიაში დანიშნულნი. ალექსანდრე-ფაშის მოსვლის წინათ ბოლგარიის დროშა ამართეს ქალაქში; ალექსანდრე-ფაშამ მოითხოვა, რომ ეს დროშა ჩამოეშვა და მაგიერად ოსმალთს დროშა ამართონ.

ლონდონი, 18 მაისს. იკვიკვის მახ-

ლობლად იყო ბრძოლა ჩილის ორცეცხლის გემსა და პერუს ჯაფშნიან ხომალდს შუა. სამივე გემი დაიღუპა.

პარიში, 17 მაისს. სხვა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა კრებაში, 74 ხმის უმეტესობით 8 ხმაზე, გადაწყვიტა, რომ პანამის მიწის-ყელი გაიჭრას და ამნაირად შეერთდეს წყლით ატლანტისა და დიდი ოკეანეები.

კეტამბურლი, 19 მაისს. ნინო ნიკოლოზის ასულს იუსუფოვისას, რომელსაც ახლად არჩეული ბოლგარიის მთავარი ირთავს, ოც-და-ათი მილიონი მზითევი აქვს.

კეტამბურლის ბირჟა, 18 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	97—37
მეორე —	96—50
მესამესი —	96—25
მეოთხესი —	96—37
აღმოსავლეთის პირ. —	94—75
აღმოსავლეთის მეორე —	95—
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—57

მთლი. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	„ — „
შინაგანი 1/2 სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის —	243—
მეორე სესხის —	238—50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი —	23—31	კენსი
ამსტერდამი —	117 75	ცენტი
ბერლინი —	195 75	ჰფენიგი
პარიჟი —	245 75	სანტიმი
ბავკასიის კერასინი	„ — „	

## საქართველო

დღიური

\* \* \* ბუშინ, ოსმუბათს, მთილისის საადგილ-მამულთა ბანკის სადგომში დანიშნული იყო მეორე საზოგადო კრება „საქართველოში წერ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.“ ძრება თერთმეტ საათზე უნდა დაწყებულიყო; მაგრამ რადგან კანონიერი 48 წევრი არ დაესწრო (ყველა წევრების მეოთხედი), ამის

გამო კრება ვერ შესდგა და საზოგადოების თავსმჯდომარემ უფ. დ. ი. შიფანმა გამოაცხადა, რომ შემდეგი კრება დღეის-სწორისათვის მომავალ ოსმუბათისათვის არის დანიშნული და ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწოს.

სირცხელი კია, ღმერთმანა, ჩვენთვის, რომ ამისთანა ჩინებულო, საზოგადო სასრუებლო საქმე დავიწყეთ და ამ თავითვე ისეთს გულ-გრილობას ვიჩენთ, რომ ოთხ წევრში ერთიც არ მოდის კრებებზე.

\* \* \* ბუშინდელს სხდომაზე შალაქის რჩევის რჩევამ ერთი ფრიად საყურადღებო საქმე გადასწყვიტა: „საზოგადო შალაქის ბანკის“ დაარსება მთილისში (Городской общественной банкъ). ამ საგანზე მოლაპარაკების დროს, რჩევაში დიდი და გაცხარებული ბაასი ასტყდა. შველა ხმოვანები, რომელნიც ახლანდელ მთილისის ბანკებში მსახურებენ ან სხვა რაიმე დამოკიდებულება აქვსთ ამ ბანკებთან, წინააღმდეგი იყვნენ ქალაქის ბანკის დაარსებისა; მაგრამ კრებამ შინც თავის გაიტანა, ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს.

ბანკის თავნი ფულად იქნება ის 70, 000 მანეთი, რომელიც ქალაქმა უნდა მიიღოს ხაზინიდან იმ ადგილის მაგიერად, რომელიც რკინის გზასთან ჩამოეგრა ქალაქს. ამ ფულები მიღებამდინ ქალაქმა გადასწყვიტა ისესხოს ეს ფულები ხაზინიდან.

\* \* \* რამდენიმე ცნობა კიდევ მუთაისის სატუსალოზედ:

როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, თვითოელო ტუსაღისათვის ხაზინიდან დანიშნულია სახარჯოთ დღეში შვიდმეტი (17) კაპეკი.

ამ ფულით თითო ტუსაღს ეძლევა დღეში: ერთი გირვანქის მეოთხედი მეორე სორტის ხორცი, ნახევარი გირვანქა ლობიო და შავი, გამხმარი პური.

შურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სატუსალო კომიტეტი ვაჭრობით (ტორგით) არ აძლევს იჯარით ტუსაღების რჩენა-შენახვას, არამედ ეს საქმე მინდობილი აქვს თურმე კომიტეტის სეკრეტარს უფ. ს. აბულაძეს, რომელიც ამნაირად ერთსა და იმავე დროს კომიტეტის სეკრეტარიც არის, ბულგალტერიც, ხაზინადარიც და მეიჯარადრეც. ის ურჩევდება ვაჭრებს ხორაგში და ისე ახერხებს საქმეს, რომ მუდამ თვე ტუსაღებისათ-

ვის დანიშნულ სახარჯო ფულს ეკონომია რჩება.

ამ მორჩენილი ფულიდამ, ეკონომიადამ, როგორც ნამდვილად გვეჩვენებს, წელს საშობოდ კომპიტეტი უფ. აბელაძისათვის ასი მანეთი მიუტოვა საჩუქრად.

ნეტავი არის კანონი, რომ ტუსალების სახარჯო კაპიტილებად მოიხრინონ ფული და ჩინოვნიკებს დაურიგონ?

სატუსალოში ახლა უფრო მომეტებული სისუფთავე არის, ამბობენ, მაგრამ ბაღლინჯო და სხვა მკბენარები კიდევ მაინც ბლომად არიან და აწუხებენ ტუსალებს.

ამ დღეებში იქ მომკვლარა ერთი ვილაც გურული ტუსალი, რომლის საქმე ჯერ კიდევ არ ყოფილა განხილული, მაგრამ რომელიც ავათყოფობის დროსაც კი ზორკილებში იყო, და ისე ბორკილებით მოკვდა.

\* \* \* ჩვენ მაშინდელ შუთისილად შემდეგი ამბავი:

„პეტრ ურიებში ერთი რალაც განხეთქილება არის რაბინის მომხრეებსა და იმის მოწინააღმდეგეთ შუა, რომლის მოთავე კაცი არის მოშა რიქინაშვილი.

„შაბათს, 19 მაისს, რალაც საქმე ჰქონდათ მომრიგებელ მოსამართლესთან ორ ურიასა ამ ორ მოწინააღმდეგე პარტიდგან. სასამართლოდამ რომ გამოვიდნენ, ბუღვარში მოუხდათ ამათ დიდი ჩხუბი და ცემა-ტყევა, სულ წვერები აგლიჯეს ერთმანეთს.

„შემდგომ ორი საათისა ესენი და კიდევ სხვანი მრავალნი შეეტაკნენ ერთმანეთს მაგარიჩის ქუჩაზე, პოლიციის ახლო. აქაც კარგათ გამოტყიპეს ერთმანეთი.

„ბოლოს ამავე დღეს ურიებს მოუხდათ ჩხუბი თავიანთ სალოცავის ეზოში. ეს იყო სადამოს ჟამს. ამ მესამე შეტაკებაზე ძალიან დიდი ამბავი იყო; ასე გაშინჯეთ, რევოლვერებიც კი ახმარეს ურიებმა და ოთხი მათგანი დაიჭრა, ორი ტყვიითა და ორიც ჯოხითა თუ ქვით.

„ამაზე შედგენილი პროტოკოლები მომრიგებელ მოსამართლეს გარდასცეს.“

\* \* \* მუთისილამვე გვეჩვენებს, რომ გავლილ კვირას, 20 მაისს, იქაურ თავად-აზნაურობას, მარშლების ამოსარჩევად შეკრებილს, ფიცი მოუღიათ და მეორე დღეს, ე. ი. გუშინწინ, ორშაბათს, უნდა ჰქონოდათ პირველი კრება.

\* \* \* ჩვენ შევიტყვით, რომ ვილაც ავაზაკებს ამ დღეებში შლადიკავაზის გზაზე, მცხეთისა და შალკანის სტანციებს შუა ფოჩტა გაუტარცვათ. ამბობენ, სხვათა შორის, ღ. მ. ნამესტნიკის ზოგიერთი ნივთებიც წაუღიათ ავაზაკებსა.

თქვენი იმედამო მომართული წერილი. თქვენ მოითხოვთ ჩემგან, რომ მე გავიმართლო თავი იმ ცილის-წამებისაგან, რომელიც გამოუშვა ჩემზე ერთმა ვილაცა სამეგრელოს თავადმა მიხეილ (იგივე ტურია) შალავამ.

ძალიან მივიჩნის, რომ თქვენ, რომელიც ჩემი კანდიდატობის თანამტკიცობი იყავით და, ვგონებ, კარგის მხრითაც მიცნობდით, ამ გვარის მოთხოვნილებით მომმართეთ მე. ნუ თუ ეს ცნობა და თანამტკიცობა ისეთ სუსტ საფუძველზე იყო დამყარებული, რომ ვილაც ტურია შალავას წყალობით გავარდნილმა ხმამ ექვეში შეგიყვანათ და იმედამო რწმუნება შეგიწყიათ?

მაგრამ არა, თქვენ მეტყვიით: ჩემის წერილისაგან ხანს, რომ მე მხოლოდ საქმის ახსნა მსურს; მე სხვა კანდიდატებზედაც გამიგონია ცუდი ამბები, მაგრამ მე მხოლოდ თქვენზე განაგონის ამბის გამოკვლევა მინდა და მოვიტხოვ, რომ ჯერ ბეჭდით და მერე სასამართლოს წესით დაამტკიცოთ თქვენი სიმართლე.

ძარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ თუ არ იცით, რომ უსაფუძვლო ჭორხედ რა უნდა სთქვას კაცმა, თუ არა მხოლოდ ის, რომ ჭორი, ჭორი არის და სხვა არაფერი? და თუ თქვენ რაიმე გარემოება გსმენიათ, რომელიც ჭორს საფუძვლიანობის სახეს სდებს, გთხოვ ის გარემოება შემატყობინო, რომ მაზედ ჩემი სასამართლებელი პასუხი მოგცეთ.

რაიცა შეგებთ სასამართლოს წესით ჭორების დარღვევას, ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც კი რაიმე ანგარიშის გულისათვის ჭორების მოგონებას და დაყრას იკადრებს და მოსურვებს, ის საჭიროების დროს შელობასაც მოახერხებს და ბევრს კუდებს იშოვნის მისგან დაყრილის ჭორის დასამტკიცებლად. და როგორ ვსურსთ თქვენ, რომ ამ შემთხვევაში ჭორების უსაფუძვლობა დავამტკიცო იქ, სადაც თვალ-საჩინო და ხელმოსაკიდებელი სამოქალაქო საქმეების გარჩევაც ძლიერ საძნელო შეიქმნა? მინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში გამოცდილს მსაჯულს ხშირად შეუძლია მოწმების უნაზავად და უკითხავად დასწეროს მათი ჩვენება სრულიად თანახმად იმისა, რასაც ისენი ნამდვილად აჩვენებენ.

ამის შემდეგ თქვენ თვითონ ადვილათ დაინახავთ, თუ რამდენათ საჭირო არის, რომ მე ბეჭდით მაინც მოვიწმინდო ის ჩირქი, რომელსაც აგრე უსამართლოდ და უსინდისოთ მაცხებენ; მაგრამ ამისათვის საჭიროა ვიცოდე რა საძარკველზე სდგას ჩემზე დაყრილი ცილის-წამება, რომ ის საძარკველი გამოუშალო და ფუტუროს შენობა დაეანგრიო.

დავით ბაქრაძე.  
17 მაისს, 1879 წ.  
მუთისი

პასუხი თ. ნ. ლალიანს

თქვენ ისეთ თავგანმარტებით მოსპარაკობთ, თითქოს თქვენს უფროსობის ჩვენებით მე მთელს საზოგადოებისათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინოს და ცდილობთ თავის გამართლების მაგიერათ მთელი საზოგადოება მიიღოს თქვენს ვითომც ძლიერს საფარს ქვეშ. ძარგი ხერხია საკუთარის უძლურების მისამალავათ, მაგრამ თქვენთვის ერთობ გამოუდგარი. თატველი სხული ფარატინებით არ დაიფარება. სად თქვენ და სად საზოგადოება? საზოგადოებას თქვენთან საერთო რააქვს იმის მეტი, რომ თქვენ იმან საქმეში ჩაგაყენათ, მაგრამ რადგან ვერ გამოჩნდით საქმის მუყაითი, ადრე თუ გვიან, ბარგი უნდა აკვრათ. რა თქვენი საქმე იყო საზოგადოების მაგიერათ გამოსარჩლება, თქვენი, გიუნებით, რომელსაც ხელის-მოწვერების მეტი არა გაგირიგებიათ-რა. რა ასეთი დიდი ღვაწლი მიგიძღვრათ იმის წინ?

რისთვის არ განდობდით, თუ იცით, ბ. ლალიანს იგი არაფერს საქმეს? იმიტომ რომ ეშინოდა, საქმე არ წაგეხდინათ. ბახოვით თქვენ, თ. ნ. ლალიანო, რა მოგივიდათ, ერთხელ რომ კასსა გებარათ?... ნეტა ვიცოდე, ის ასი თუშანი რათ ამოგაღებინეს საკუთარის ჯიბიდან დანაკლისი ფულების შესავსებათ ბანკში. ია როგორ მოგივიდათ, თორმეტ, თუ ცამეტ ათას მანეთის მითვლაში, ასი თუშანი რომ ხელს გადააყოლოთ? საცა ასე ცოტა ფულის დათვლაში ასი თუშანი გადაეცით, წარმოვიდგენ, რაიქნებოდა, ასი ათასობით მითვლა და ანგარიში რომ შეგხვედროდათ?

ბიდეც მისთვის არ გენდობდით ბ. ლალიანს იგი, რომ კარგათ იცოდა, თქვენ თვლაც არ იცოდით...

\* \* \* თქვენ, პატივცემულო თავადო, მეოხნო და მოღვაწეო აწინდელთა მუთისის ბანკის უფალთა განხოთ, რა გითხრათ თ. ბ. შალავამ მის მეორე დღეს, რაც მსესხებლებს ხვა წაართვეს, რისგამო თქვენ უარიცა სთქვით თქვენს დირექტორობაზე:

„ამიერიტგან თქვენ ნულა ვლით რაიმე ადგილის მიღებას. მიბძანდით, საზოგადოება სრულებითაც არ საჭიროვსთ თქვენს სამსახურს.“

როცა თქვენ ამისთანა შეურაცხყოფას გაყენებდით თ. ბ. შალავა, სად იყვენ იმის მოკავშირეები, რომ წინ არ დაუდგენ და თქვენი თავი გაალანდღვინეს-რომელიც იყავით იმათი ასე გულსმ ოდ გინე ქომაგი, მეოხე და მოღვაწე. რატომ არ გამოჩნდენ ის თქვენი სანაქებო კანდიდატები და არ შეაგონეს თ. ბ. შალავას და იმის ამაღას, რომ ცუდი ცვლილება არ მოეხდინათ ბანკის უსტაფში? რატომ არ იხმარეს ყოველი ლონის-ძიება, რომ თქვენი მათი გულმხურვალე მეკმავე იმ ზომამდის არ მიეყვანეთ, რომ ხელი არ აგელოთ თქვენს სამსახურზე. სამწუხაროთ, თქვენმა კან-

\*) „დროება“, № 103.

პასუხი  
შუ. ივანე სვიმონის ძეს მესხს  
მოწყალეო ხელმწიფე!  
„დროების“ 99 №-ში მე წავიკითხე

დიდატებმა თავის უცნაურის ღუმლით ცული შესწორება მოახდინეს ბანკის უსტაჟში და თქვენც ხელი ავადებინეს თქვენს სამსახურზე; თქვენს მაგიერ კი ის კაცი გაადირექტორეს, ურომლისათაც ძალიან სათუთო იყო, რომ შალავეებს თერთი ჩამედროთ თქვენგან ქებულ კანდიდატისათვის. **მუ** გინდათ ოინი, ეს არის. **მინ** იცის, კეთილო თავადო, იქნება ისიც ოინი იყო, მეორე დღეს რომ ისინი მოვიდნენ თქვენთან და მწუხარებით გასამძიმებდნენ: „ახ, ღმერთო, ჩემო, წეს რა მოგვევლია, რა ცული ცვლილება გავციყვანინებია თურმე გუშინ. ჩვენ ეს არ ვიცოდით!“ **მან** იცის, კეთილო თავადო, იქნება ამ საქმეში თქვენმა კანდიდატებმა თქვენც ცხვირით გატარეს, როგორც ოდესმე განსვენებულს **ბ. ლობაბერიძე** დაატარებდნენ; მაგრამ ღმერთმა დამიფაროს, მე ისას როგორ გამოვიყვან აქედან, რომ თქვენ ჩერჩეტი ბრძანდებოდეთ. **პრა**, მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ბუნებით ნიჭიერი და ჭკუიანი კაცი ბრძანდებით, მაგრამ ხან-და-ხან ცხვირით ტარება თურმე თქვენიც კი შენაძლება.

**მუშა** დღეს ამაში თქვენც ისე დარწმუნებული ხართ, როგორც მე, ესე იგი თქვენც იმგვართვე ცხვირით გატარეს, როგორც განსვენებულს **ბ. ლობაბერიძეს** დაატარებდნენ სიცოცხლეში, მაგრამ, რადგან საზოგადოების წინ სხვამ ნათლად გამოაცხადა იღუმალი თქვენი შენაწება, განა არ ვიცი ეს შემთხვევა ისე გაგაბრაზებთ, რომ მზათ იქნებათ იმავე საზოგადოების წინ ათასი ფიცით, შეთხუშული და მოხერხებული საბუთებით დაიწყეთ წინააღმდეგობა, ვითომც თქვენ არავისთან კავშირი არ გქონოდესთ, არავის იარაღათ არ გამხდარიყოთ, არავის ცხვირით არ ეტარებინათ და სხვ. და სხვ. მაგრამ აქ გასაკვირი არა არის-რა. **მს** ყოველთვის ასეა, და შეესაბამება კაცის ბუნების კანონებს, იმის თავმოყვარების ძოთხოვნილებას: როგორ-თუ ვინმე საქვეყნოთ ჩემი შეცდომა დამანახაო, როგორ თუ ვინდაც **ბ. წერეთელი**მა ჩემი შესანანებელი გულის პასუხი სხვებს გაუშქლანა და ამით ჩემი პატივის მოყვარება შებღალაო? **პი**, ესევე საიდუმლოთ გამოცხადებული ამაცობა აღიძურებდა განსვენებულს **ბ. ლობაბერიძეს**ც **ნ. ნიკოლაძის** წინააღმდეგ, როცა ამან საზოგადოების წინ გაამხილა ის, რაც გულში ნეშტარსავით ბესარიონს უღიტინებდა.

**პნაირმა** მხილებამ დაკარგინა განსვენებულს ჩვეულებრივი სულგრძელება და გამოაცხადებინა საქვეყნოთ ის სიტყვები, რომელიც მის აზრს თავის ბიძაშვილებზე სრულებით ეწინააღმდეგებოდა:

**„მუ. ნ. ლობაბერიძე** პატიოსან და ქვეყნის ერთგულ კაცად მიმაჩნიაო“. **მან** ის წარმოიდგენდა, რომ სამის წლის შემდეგ **თ. ნ. ლდიანი** განედლებდა პოლემიკაში ამ უნებურათ წარმოთქმულს სიტყვებს და განსვენებულისევე

მეოხებით ოქროს ტახტს დაუდგამდა მას, ვინც ყველაზე უღირსი იყო წარსულის ცხოვრებით? **მს** რომ სცოდნოდა განსვენებულს ვაი, როგორ გააქროლებდა ტანში და სიმწარით მოიკენებდა ენას!... განა მაშინ წარმოიდგენდა რომ იმისი ქველმოქმედება ბოლოს გულდამკნარს პატივისმოყვარე ჩინოვნიკს ოქროს ტახტს დაუდგამდა და თქვენ, კეთილო თავადო, გამგებლობის მანტიის ბოლოს აუწვედით და მოწიწებით ყავარჯენს დაუჭერდით? **მს** რომ განსვენებულს სცოდნოდა, ათასჯერ კიარ დაწყველიდა გაჯავრების დროს წამოხროლილს თავის სიტყვებსა?...  
**მუ** თქვენ გადამეტებულის კანდიერებით ბრძანდებით:

**„მ. ბ. წერეთელი** და მისიმებანე და მოზახილი ავტორები და წამბილწველი თვისებები „სწავლისა და მეცნიერების სახელით, საზოგადოების წინ უნდა ვაკურთხოთო, რომ მეოასავით სხვების წაყიდებით, ბრძოლით და დაცემით ვსარგებლობთო და თუ არავინ ვმტყრებოდეს ერთმანეთს, ჩვენ აუტუხვოთ შფოთილო და ეს მაკიაველობა, ტალღიერანობა და ბისმარკობა გონიერების გვირგვინსაც დაგვადგამს და გავამარჯვებინებსო“...  
**პმისთანა** იგზუიტურს გამარჯვებას რამდენად სჯობს დამარცხება, ამის აწონას ღიდი ლარი და ხაზი არ უნდა“  
**„მაკიაველობას“** და **„იგზუიტობას“** რომ არახუნებთ, შეგიტყვიათ კი ან ერთისა და ან მეორე სიტყვის აზრი? რა თქვენი საქმეა ესეთს სფერაში ფეხის შედგმა, რომლისაც თქვენ, გეტყობათ, არა იციოთ-რა.

**ზაგეგონასთ**, რომ მაკიაველი იყო იტალიის ღიდი პატრიოტი, მეთქსმეტე საუკუნის დამდეგს მცხოვრები, ისეთი ღიდი ჭკუისა და პოლიტიკური მოსაზრების კაცი, რომ რაც წარჩინებული სახელმწიფო კაცები დაბადებულა ამ სამს საუკუნეში, თავწაყრით ყველაზე ერთი ადლით მალლა მდგარა. **პრ** იციოთ, რომ იმის პოლიტიკური მოსაზრება მხოლოდ ჩვენს დროში, მეცხრამეტე საუკუნეში გამართლდა იტალიაში და მთელს მეროპაში? **ნაციონალური** პრინციპი პოლიტიკაში პირველად იმან დაარსა. **იმის** აზრის მეოხებით არის დღეს იტალია ერთ ხალხათ შეერთებული, საფრანგეთი რესპუბლიკათ შექმნილი, მერმანია ერთ ნაციონალურ იმპერიათ გაკეთებული და გაძლიერებული, სლოვენები განთავისუფლებული და აღმოსავლეთის ხალხები დღეს ნაციონალური გრძნობით გაღვიძებული.

**იმან** მეცნიერების ძალით პირველად წარმოასთქვა: „ერის ხსნა უაღრესი კანონიაო“. **ამ** აზრის დასამტკიცებლათ იმან ორი თხზულება დასწერა „ტიტუს ლივიუსზე“ და „ილ პრინჩიპე“ (მთავარზე). **პირველს** თხზულებაში განარჩია, თუ როგორს შინაურს დაწყობილებაზე უნდა დამყარებულიყო ერის გამყვობა და იმის თავისუფლება. **მს** ამ თხზულებაში რესპუბლიკელია. **მეორე** თხზულებაში გატარებული აქვს ეს აზრი, თუ რა საშუალებით შეიძლება დანაწილებული იტა-

ლიის გვარები ერთად შეერთდეს და განიძეოს ქვეყნიდან იმათა მსგავსებაში. **ამ** განზრახვით ის უჩრქველად ქვეყნებში ტინის მთავარს შედინის ბევრნაირს საშუალების ხმარებას.

**ღილ. წამბდარ** და **ზნეობით** დაცემულის კაცებისაგან ქვეყნის განათვისსათვის ის სხვათა შორის, საწამლავის და ხანჯლის ხმარებასაც უჩრქვედა; მაგრამ ამ შემთხვევაში ის არ ვერაგობდა. **მს** აქ იმეორებდა მხოლოდ იესო ძრისტის აზრებსა, რომელიც ქადაგებდა: „წამბდარი ლერწი ვენახისა უნდა მოიჭრას და ცეცხლზე დაიდვასო“.

**ამგვარი** აზრების ქადაგებისათვის ნიკოლო მაკიაველიმა მთელი თავის სიცოცხლე წვალებდა და დევნულებამი გაატარა. **მთხვერ** იყო განძვეებული თავის ქვეყნიდან და ერთხელ საპყრობილეში ნაწვალეობია. **მს** ჰხედავდა რომის პაპების და სამღვდლოების გარყვნილებას, ჰხედავდა, რომ ამ გარყვნილებისგან იყო იტალია დაცემული. **მადეც** ამიტომ წინააღმდეგა რომის პაპებს და იმათს გარყვნილს სამღვდლოებას. **ამის** გულისთვის მაკიაველს თავზე მუხრუჭი მოუჭირეს და ხელფეხი ჯაჭვით შეუჭრეს, მაგრამ თავისი წმინდა საქმე მაინც არ დაუგდია. **ამ** სახით ის პირდაპირ მიდიოდა თავის გზაზე; მას მხოლოდ სურდა თავის ხალხის განთავისუფლება შინაური და გარეული მტრებისაგან. **ამის** შემდეგ როგორ დავიჯერო, რომ თქვენ გსურდათ შეგედარებინათ ჩემი და ჩემი ამხანაგების მოქმედება ამისთანა კაცის მოქმედებასთან, რომელსაც დაფარული არა ჰქონდა რა მის გარდა, რასაც სწერდა და ქადაგებდა? **მან** არ ვიცი, რომ „მაკიაველობის“ დამახებით ვითამც გინდოდათ ჩვენი თავი მიწასთან გავგსწორებინათ; მაგრამ, დახე უცოდინარობამ რა გაყოთ? თქვენივე იარაღით თავი წაგადგინათ. **პი**, რა მოსდევს ხოლმე, როცა კაცი მარტო სხვის ფეხის ხმას აყვება ხოლმე?

**„მაკიაველობას“** რა აქვს საერთო იგზუიტობასთან? **იგზუიტის** ორდენი დაარსდა გარყვნილი რომის პაპის უფლების და სამღვდლოების გასაძლიერებლათ. **მის** ჰსურდა მთელი ქვეყანა სამღვდლოების სალუქმა-პუროდ გავნადა. **ხალხებისთვის** თავისუფლება წაერთმია, მდიდრებისათვის სიმდიდრე პოეპარა ხელმწიფეებისთვის გვირგვინი, სახელმწიფოსათვის შემოსავალი ფული და ხაზინა, **იგზუიტის** სამღვდლოების მოღვაწეობა მხოლოდ თავის საკუთარი ჯიბის გასამდიდრებლათ იყო მიმართული. **ამის** გულისთვის ისინი არ ზოგავდნენ არც მეფის გულს, არც ხალხის ოფოს, არც მდიდრის ჯიბეს, არც ღარიბის ქოხს, არც კაცის ტვინს, არც ქალის უმანკოებას. **შველას** შეპარულ ეშმაკსავით თავს დააჯდებოდნენ და როგორც ბორბალამ ბუზი გამოწოვოს, ისე მთელს ქვეყანას სისხლსა სწუწნიდნენ. **ნიკოლო** მაკიაველი კი თავის ქვეყნისა და ხალხის კეთილმდგომარეობისათვის იყო ტანჯული. **იგზუიტის** სამღვდლოება ცდილობდა მთელი ქვეყნის სიმდიდრე თავის მუცელში შთაენ-

